



წელიწადი მემთხე

წელიწადი მემთხე

სამეურნეო უზრნალი

მოსავალი



დეკემბერი.

№ 23 ზ 24.

შინაარსი:

ვ. რცხილაძე	საკრედიტო ამხანაგობანი ზ მათი მნიშებელობა ჩვენში . . .	3
ვ. გულბათიშვილი	იტალიურ კომერცტიკების ცხადრებიდან	5
რ. გედევანიშვილი	რძე და მერძეობა	7
ნ. მუსიანიძე	სასარგებლად თუ არა შემდგომით საქანლის გაშვება სა- ძვარზე	10
ალ. მაჩაბელი	მსეუჭერიტას მოვლა და გამყენება	11
ა. კახელაძე	სოფ. დიდობი საცდელად მოწეობილ კვების ანგარიში . . .	13
ვ. ანოშვილი	სიცივის ზედმოქმეება ვაზზე და მის ნაყოფზე	15
	სანიმუშო წესდება	16
ლონდონის აგენტურა	სამეურნეო მანქანა-იარაღები	21
მოსავალის რედაქცია	სიღნაღის მასრის სოფლების მიმართ	23
	განცხადებანი	24

უზრნალი წელიწადში ღირს — 3 მანეთი. მისამართი: Тифлись, Ваятинская 8.



სამეურნეო ჟურნალი

მოსავალი

(იბეჭდება ორ კვირაში ერთხელ)

წარსულ წელს ჟურნალში იღებდნენ მონაწილეობას: — ანაშვილი ვ., ანაზღუელი ბი-
ანალია ი., გულბათიშვილი ვ., გადმოხვეწილი ბ., გვარამაძე ილი., გორთამაშვილი დ., გამხა.
რაშვილი გ., თაქთაქიშვილი გ., იოსელიანი ე., კახელიძე ი., მჭედლიშვილი ვ., მელია პ., მდი-
ვანი დ., შაჩაბელი ა., შაჩაბელი ი., ნახუცრიშვილი გ., როლოვი ა., რუსიშვილი ა., რცხილა-
ძე ვ., ქუთათელაძე ი., ყავრიშვილი ნ., ჩივაძე ე., ჩხეიძე ყ., ცხადაძე გრ., დ—ძე დ., მღ. ჯა-
ლიაშვილი, წ—ძე აპ., ხეთაგური ს., უ—ელი ვ., შენგელია ვ.

რედაქცია მოელის თანამშრომლობას სხვებიდანაც.

თანამშრომელთა საპუბლიკაციო.

ჟურნალის შემოსავლიდან გაისტუმრება ხარჯი სტამბისა და კანცელარიისა, დანარჩენი
(თუ რამე დარჩა) წლის დამლევს დაუბრუნდება თანამშრომლებს პროპორციულად მათ,
ნაშრომისა.

დასაბეჭდად მიღებული წერილები შეიძლება რედაქციამ შეასწორას და შეამოკლოს.
წერილები და კორექსონდენციები, რომელნიც არ დაიბეჭდებიან, არც შეინახებიან დასა-
ბრუნებლად.

რედაქცია მზათ არის აღმოუჩინოს „მოსავლის“ მკითხველებს ყოველ გვარი შეუამა-
ლობა სამეურნეო იარაღებისა და მაშინების და აგრედვე ყველა სამეურნეო ნაწარმების
შექმნა-გასაღებაში.

განცხადებები დაიბეჭდება მხოლოდ უკანასკნელ გვერდზე. ჩვეულებრივი სტრიქონ
(ვენური ან აკადემიური ასოთი) განცხადებისა ღირს **ორი შაური**.

წლიური აბონემენტებისათვის განცხადების ფასი რედაქციასთან **შეთანხმებით**.
განცხადების ფასი წინდაწინვე უნდა იყოს წარმოდგენილი.

ამ ნომერთან 1912 წლის ხელის-მოქმედით
პრემიად ეგზავნებათ ახალი თხზულებები:

მცენარენი და ცხოველნი

რომელიც შეიცავს 174 გვერდს 21 სურათით.

რედაქტორ-გამომცემელი მ. ი. რცხილაძე

საკრედიტო ამხანაგობანი ლ მათი მნიშვნელობა ჩვენში

სამიოდე წელიწადია რაც ამ ამხანაგობათა დაარსება დაიწყო ჩვენში სისტემატიურად. წვრილი კრედიტის დაწესებულებათა რევიწორმა ა. ა. ვასილევმა ინახულა ამ დღეებში სიღნაღის, კარდანახის, ბაკურციხის, გურჯაანის, ველისციხის და თელავის ამხანაგობანი და სრული კმაყოფილი დარჩა მათი საქმის წარმოებით. თუ ასე კარგად აწარმოებენ საქმეს ყველა სხვა ამხანაგობანიც, მაშინ ძრიელ დიდი მნიშვნელობა მიეცემათ მათ ჩვენს ცხოვრებაში.

როგორც ქვემოთ მოყვანილ ნიბრიდან სჩანს, პირველ ოქტომბრისათვის მარტო 58 ამხანაგობაში ითვლებოდა წევრად 13981 ამხანაგი და შესავალ-გასავალი უდრიდა 419859 მან. 80 კაპეიკს. წევრთა რიცხვიც და თანხაც იმდენად ზომიერია, რომ ღირს ამას ყურადღება მივაქციოთ და ვაცნობოთ მკითხველს, სად არიან ეს ამხანაგობანი, რამდენი ჰყავს თითოეულ მათგანს წევრი-ამხანაგი და რამოდენია მათი შესავალ-გასავალი. ეს ამხანაგობანი არიან:

გორის მაზრა

შემოსავალ-გასავალს უდრიდა-

№	საკრედიტო ამხანაგობა	შესდგებოდა	წევრისაგან	შემოსავალ-გასავალს უდრიდა-
1	ავლევის	506	9466 მ.	22 კ.
2	ალის	166	5458	26
3	ახალქალაქის	—	—	—
4	ბაკურიანის	96	4552	57
5	გორის ხელოსანთა	452	17305	52
6	ძვევრის	—	—	—
7	მეჯვრისხევის	230	5775	29
8	ღირბის	52	2102	35
9	ღოესის	281	5886	18
10	ზემო-გომის	569	12094	53
11	კავთიხევის	211	4716	03
12	ქარელის	196	6528	12
13	კასპის	153	4294	58
14	ქვემო-ქალას	424	10898	50
15	ქვიბისის	102	4237	86
16	მეტეხის	—	—	—
17	ფხვენისის	—	—	—
18	რუისის შემნახ.-გამსეხ.	303	5814	15
19	საქაშეთის საკრედიტო	327	8034	66
20	სურამის შემნახ.-გამსეხ.	—	—	—
21	ტყვიავის საკრედიტო	—	—	—
22	თორის	—	—	—
23	ხაშურის	395	10467	89
24	ხიდისთავის	123	4282	87

25	ცაგვერის შემნახ.-გამსესხ. ამხანაგობა	შესღ.	—	”	—	—
26	ცხინვალის საკრედიტო	”	448	”	8399	—04
27	ლამისყანის	”	288	”	7545	- 80

ღუშეთის მაზრა

28	ღუშეთის შემნახ.-გამსესხ. ამხანაგობა	”	—	”	—	—
29	ყაზიბეგის საკრედიტო	”	—	”	—	—
30	მელეთის	”	—	”	—	—
31	მუხრანის	”	248	”	4389	—35
32	მცხეთის	”	259	”	9382	—15
33	ოძისის	”	123	”	4352	- 08
34	ფასანაურის	”	—	”	—	—
35	საგურამოს	”	187	”	6569	—39
36	წილკანის	”	—	”	—	—

სიღნაღის მაზრა

37	ანაგას შემნახ.-გამსესხ. ამხანაგობა	”	230	”	6928	—37
38	არაშენღას საკრედიტო	”	118	”	2150	—58
39	ბაკურციხის	”	340	”	9548	—85
40	ბოღბისხევის შემნ.-გამს.	”	142	”	7528	—05
41	ბოღბის საკრედიტო	”	357	”	8525	—75
42	ვაქირის	”	332	”	10876	—01
43	ვეღისციხის შემნახ.-გამს.	”	406	”	21643	—63
44	გურჯანის საკრედიტო	”	405	”	13700	—53
45	ჯუღანის შემნახ.-გამსესხ.	”	17	”	2727	—97
46	კარღანახის საკრედიტო	”	364	”	9547	—95
47	ქვემო-მაჩხანის გამს.-შემ.	”	135	”	7897	—30
48	კელმეჭურის საკრედიტო	”	200	”	8625	—44
49	ლაგოღების	”	192	”	3505	—73
50	ღელიანის	”	193	”	4469	—40
51	კაკაბეთის შემნ.-გამსესხ.	”	30	”	2262	—60
52	სიღნაღის	”	213	”	7510	—16
53	თუქურმიშის	”	58	”	2619	—90

თელავის მაზრა

54	აწყურის საკრედიტო ამხანაგობა	”	241	”	10188	—72
55	ვაჩნაძიანის	”	—	”	—	—
56	ყვარღის	”	172	”	7859	—83
57	ნაფარეღღის	”	—	”	—	—
58	ძვეღ-გავაზის	”	94	”	1626	—45
59	თელავის შემნ.-გამსესხ.	”	305	”	9402	— 91
60	წინანღღის საკრედიტო	”	—	”	—	—
61	შაშიანის	”	192	”	4288	— 90

ღზიღღის მაზრა

62	ბორბაღღოს საკრედიტო ამხანაგობა	”	—	”	—	—
63	აღბუღღღის შემნ.-გამსესხ.	”	193	”	8558	—53
64	გღღღანის საკრედიტო	”	286	”	6539	—95
65	ღიღღის	”	102	”	2139	—10



66	ლილოს საკრედიტო ამხანაგობა	შედგებოდა	160	„	5906—77
67	მარტყოფის	„	675	„	14500—30
68	მანგლისის	„	—	„	—
69	ნორიოს საკრედიტო	„	124	„	2155—70
70	მულანლოს	„	49	„	2112—80
71	პატარძელის	„	382	„	9729—14
72	საგარეჯოს	„	489	„	14182—88
73	ხაშმის	„	235	„	6533—69

თიანეთის მაზრა

74	ახმეტის საკრედიტო ამხანაგობა	„	210	„	7698—17
----	------------------------------	---	-----	---	---------

ჯაქათალის მაზრა

75	ბელოქანის შემნ.-გამს. ამხანაგობა	„	56	„	10257—80
76	კახის	„	139	„	4556—85

სულ 76 ამხანაგ. 13981 ამხ. 419859—80

თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ზევნში კერძო ფულის პატრონები ორ შაურზე ნაკლებ არ ასესხებენ ფულს, რაიც 120% შეადგენს წელიწადში, და ბანკი კი ამხანაგობას ართმევს არა უმეტეს 6—7%, ხოლო ამხანაგობანი 120%-ზე ზევით არ ახდევინებენ მსესხებელს, მაშინ გამოვა რომ მთელი რაიონს, სადაც, ეს 58 ამხანაგობა მოქმედობს, 100%-ზე მეტი და არა ნაკლები შეკმატებია მთელი ამ გაცემული თანხისა, ე. ი. ხალხის ჯიბეში 42 ათასი მანეთი მაინც დარჩენილა ზედ-

მეტად, რაც სარგებელში უნდა გაელო ხალხს, რომ მთელი ზემოთ მოყვანილი თანხა კერძო პირებისაგან სესხნა.

მაგრამ მარტო ამით არა თავდება ის სარგებლობა, რომელიც მიეცემა ხალხს, უკეთეს დაწესებულებანი თავიანთ წევრთა გამხანაგების უნარსაც გამოიჩინენ მეურნეობაში სწავლაგანვითარების გაფრცხვებით, სამეურნეო ტექნიკის გაუმჯობესობით, მიწების უკეთესად დამუშავებით და სხ.

ვ. რცხილაძე.

იტალიელ კოოპერატივების ცხოვრებიდან

ტრაქტორის საამხანაგოდ შექმნა გლეხებისაგან.

იტალიელების მეურნეობა ყოველდღე ახალ-ახალ მაგალითებს იძლევა წარმატებისას. დღეს იტალიაში ძნელად და შეხვდებით ისეთ მივარდნილ კუთხეს, რომ კოოპერატივის ზედგავლენით რაიმე წარმატება არ ეტყობოდეს მის მეურნეობას.

ის დრო, როდესაც იტალიელი მეურნე ეკვის თვალთ უყურებდა ყო-

ველს საამხანაგოდ დაწყობილს საქმეს, დიდი ხანია გავიდა მათ საბედნიეროდ და დამკვიდრდა ხალხში ღრმა რწმენა კოოპერატივებისადმი.

ეხლა იტალიელმა გლეხმა იცის, რომ თუ რომელიმე საქმისათვის მარტო მას არ შესწევს ძალა, სხვებთან გაამხანაგებით შეუძლიან საქმე ასრულოს. რაც აქამომდე შეუძლებელი იყო მისთვის, დღეს ადვილი მოსახერხებელი გახდა.

ერთ ესეთ დაღად საყურადღებო მაგალითს მეურნეთა ვაამხანაგებისას ახლად დაარსებული კომუნარცია წარმოადგენს, რომელიც შესდგა განსაკუთრებით იმ აზრით, რომ ტრაქტორი შეიძინონ საამხანაგოდ და ამუშაონ.

კომუნარცია იგი დაარსდა ერთ პატარა სოფელში პიაჩენცის რაიონში. პიაჩენცის რაიონი ერთი უპირველესთაგანი პროვინციაა, საზოგადოდ, სამეურნეო კომუნარციების სიმრავლით.

აქ მოქმედობს რამდენიმე საკრედიტო, მერქვევთა და სხვა გვარი ამხანაგობა. არის აქ ერთი კომუნარციული ფაბრიკაც კი ქიმიური სასუქებისა, რომელიც აგერ რამდენიმე წელიწადია, რაც რაიონის ამ მხრივ მოთხოვნილობას აკმაყოფილებს.

გარდა ამ ბინადადებულ დაწესებულებებისა პიაჩენცის რაიონში მოქმედობენ აგრედვე მოძრავი კათედრები, რომელთაც გააქვთ-გამოაქვთ სამეურნეო სწავლა-განათლება ყველა მიყრუებულ კუთხეებშიაც კი და აწვდიან პრაქტიკულ დახმარებას.

მეურნეთა ასეთ გულმოდგინე მუშაობას მალე შედეგიც კარგი მოჰყვა. შემუშავდა რაიონისთვის მორიგეობითი თესვა მოსავლისა, გახშირდა ხელოვნურ სასუქების ხმარება და სხ.

მხოლოდ ერთი მხარელა რჩებოდათ აქამომდე პიაჩენცის მეურნეებს დაუკმაყოფილებელი—ეს იყო მიწის მოხვნა.

რომ კარგად მოხნულს მიწას მოსავალიც კარგი მოჰყავს, ეს, რასაკვირველია, დიდი ხანია იცოდნენ პიაჩენციელებმაც და კიდევაც ცდილობდნენ კარგად დაემუშავებინად თავიანთი მიწები. მაგრამ ამ მხრივ კარგი შედეგი ძნელი მისაღწევი იყო.

უპირველესი დაპრობება, რომელიც ამ საქმეს ელო წინ, მდგომარეობდა იმაში რომ პიაჩენცის რაიონში საზოგადოდ მძიმე თიხნარი ნიადაგებია მოსახნავად ძნელი. ეს სიძნელე სხვათაშორის იქიდან სჩანს, რომ ამ რაიონში ხშირად 5—6 უღელსა საქონელს აბამენ გუთანში.

სანამ დღიური ფასი მუშისა და მუშა საქონლისა არ იყო ძან დიდი, შესაბამისი საქონელი კიდევ შეიძლებოდა გარეშედ ექირავნათ და გაჭირებიდან ასე გამოსულიყვნენ. მაგრამ რაც ხანი გადიოდა იმდენი უფრო და უფრო გაძნელდა საქმე. ფასებმა მუშა საქონელზედაც და დღიურ მუშაზედაც საშინლად აიწიეს და შეიქმნა ისეთი პირობები, რომელთა ატანა შეუძლებელი გახდებოდა, რომ საშველი არსაიდან გასჩენოდათ.

„გაჭირება მიჩვენე—მე გაქცევას გიჩვენებო“—ტყუილად კი არ არის ნათქვამი. გაჭირებიდან თავის დასაღწევი გზა მალე გამოძებნეს. ეს გზა იყო კომუნარციის დაარსება.

საქმე იმაში მდგომარეობს რომ ამ უკანასკნელ წლებში პიაჩენცის კერძო მემამულენი მიწის ხვნას ტრაქტორების საშუალებით შეუდგნენ. ამ მანქანებით მუშაობა ყველასთვის აშკარა გახდა, რომ სასარგოა.

ტრაქტორების რიცხვის თანდათან გამრავლებამ რაიონში დააფიქრა გლეხკაცობაც და აი ერთ პაწაწკინა სოფელში, რომელსაც ჰქვიან სან-ლაჯარო-ალბერონი, გლეხებმა სთქვეს: „მოდე ჩვენც ტრაქტორი შევიძინოთ საამხანაგოდ და იმითი ვხნათო“. თქმა და ასრულება ერთი იყო. შესდგა ამხანაგობა, ხოლო რა წესი დაიწესეს, როგორ მოქმედობს ამხანაგობა იგი, ან



რამდენი დაპროკოლება აღმოუჩნდა მათ საქმეს, აი საინტერესო საკითხები ჩვენთვის.

საზოგადოდ უნდა ვსთქვათ, რომ ყოველი ახალი კოლხერატივის განხორციელება უსაქიროესად თხოულობს მოთავეთა ღრმა რწმენას საქმისადმი და გულწრფელს მოქმედებას საქმის მიმართ. ორივე ამ მოთხოვნისას სანლაცარო-ალბერონის გლეხები აკმაყოფილებდნენ სავსებით, რადგან მათ ნანახი ჰქონდათ ტრაქტორით მოხსნული მშვენივრად მიწა, მისი სწრაფი მუშაობა და ისიც, რაც ყველაზე უმთავრესია, რომ ტრაქტორით უფრო იაფი ჯდება ხვნა. მათ უნდა გამოეჩინებინათ მარტო საკუთარ პირობა-გარემოებების მიხედვით აინახაურებდნენ თუ არა ხარჯს, რომ ტრაქტორი იყიდონ საკუთრივ. ამისათვის საჭირო იყო გეგმათ, რამდენი უნდა იყოს სახნავი მიწა, რომ ტრაქტორს სამუშაო დიდ ხანს გასწვდეს და მუშაობა ხელმისაღწევი გახდეს.

აშკარა იყო, რომ ტრაქტორს სახნავად უნდა მიეცეს დიდი ზომის მიწები, რომელთა რაოდენობა დამოკიდებული იქნება ერთის მხრით მუშა სა-

ქონლის და მუშის დღიურ ფასზედ. შეისწავლეს რა ამხანაგებმა საქმის გარემოება ამ მხრივ, იწყეს მოქმედებაც.

ესლა ამ ამხანაგობას აქვს ერთი ტრაქტორი, რომელიც მუშაობს დღისითაც და ღამითაც. საჭირო თანხა შეადგინა ამხანაგობამ პაების გასადებით. პაის ღირებულობა დესეტინაზე გამოანგარიშებით არის მიღებული. ვისაც რამდენი დესეტინა მიწა აქვს მოსახნავი, იმდენი პაი უნდა შეიძინოს საამხანაგო თანხის შესადგენად. ხარჯიც, რასაც ტრაქტორის მუშაობა მოითხოვს, დესეტინაზე არის ნაანგარიშევი.

თანხმად კოლხერატივის პირობაშეკრულობისა, ტრაქტორი შეიძლება ამხანაგობამ სხვაზედაც გააქიროს.

ისეთი გაჭირება, რომელმაც იტალიელი გლეხები შეაკავშირა ზემოხსენებულის წესით, ჩვენშიაც დიდად საგრძობელად არის სოფლად და იქნება იტალიელების მაგალითს ჩვენებმაც მიჰბაძონ, მით უმეტეს რომ ჩვენშიაც, როგორც ვვაქვს გაგებულები, თუ გლეხობაში არა ჯერ, კერძო შემამულებთა შორის უკვე იწყება ასეთი კოლხერატივების დაარსება.

გ. გულბათიშვილი.

რძე და მერქობა

მოწვევითი რძის უმანახვა

რძეს, რაც უნდა სუფთად მოიწველოს, მაინც ჭუჭყი ექნება. არასოდეს თავიდან ვერ შეგვიძლიან ავიცილინოთ, რომ წველის ღროს საქონლის ჭუჭყი, ბალანი, მწერი ან სხვა რამ უსუფთაო ნაწილები არ ჩაჰყვეს რძეს. ამიტომ უნდა ვეცადოთ, რომ ამისთანა უსუფთაობა რაც შეიძლება მალე მოვაშოროთ.

ამისათვის საჭიროა, რომ მოწველის უმალ რძე გაწუროთ და გავასუფთავოთ. რძის საწურავი მუდამ გაწურვის წინად და შემდეგაც ცხელის წყლით უნდა გაირეცხოს და გასუფთავდეს. თუ წველა თავლაში ხდება, რძე მაშინვე უნდა თავლას მოვაშოროთ და წმინდა ჰაერზე გამოვიტანოთ, რადგან თავლი სცუდი ჰაერი ძალიან ცუდად მოქმედობს რძეზე და უკარგავს მას საუკეთესო თვისებებს.

უმთავრესი მიზანი რძის შენახვაში ის არის, რომ რძე დავითაროთ დამჟავებისაგან და აქრისაგან. ესეთი შენახვა ხერხდება მეტადრე იმ შემთხვევაში, თუ რძეში მყოფი მიკრო-ორგანიზმები შევამცირეთ, ან სულ მთლად მოვსპვით. მიკრო-ორგანიზმების შემცირება ანუ მოსპობა კი შეიძლება სამნაირი გზით:

1) რძის გაცივებით;

2) რძის შეთბობით 100° -მდე ანუ პასტერიზაციით;

და 3) რძის შეთბობით ან აღუღებით 100° -ზე ზევით ანუ სტერილიზაციით.

ამ სამს საშუალებიდან უფრო ხმარებაში არის რძის გაცივება იმ შემთხვევაში, თუ რძე გვინდა რამდენიმე დღე შევინახოთ. თუმცა რძის ცივად შენახვით მანვე ბაქტერიებს ვერ მოვსპობთ, მაგრამ ხელს შეუშლით მათ გამრავლებას.

ახალ მოწველილ რძეს აქვს სითბო 36°C . თუ რძე ასე დავტოვეთ, ბაქტერიები ძალიან მალე მრავლდებიან და რძეზე ცუდად მოქმედობენ. ამიტომ რძე მოწველის უმაღლეს უნდა გავაციოთ, სულ რო ნაკლებ 10° — 12° -მდე ჩამოვიყვანოთ, რადგან ამ სითბოზე დაყენებულ რძეში, ბაქტერიები ველარ მრავლდებიან და ველარც რამეს ავნებენ.

რძის გასაცივებლად საჭიროა ვიქონიოთ: საცივებელი მანქანა და ცივი წყაროს წყალი. საუმჯობესოა ვიქონიოთ ყინული, რადგან წყალს დადი გამძლეობა არა აქვს.

სულ უბრალო რძის საცივებელი, პატარა აუზია, რომელიც გაღვსილი იქნება ცემენტით და ნახევარზე მეტად მიწაში იქნება ჩამჯდარი. ამ აუზს ძირში ექნება საცეტი მილი, საიდანაც შეგვეძლება წყლის გაშვება.

როდესაც მოვინდომებთ რძის გაცივებას, აუზში ჩაუშვებთ ცივ წყალს და შეურევთ ყინულს, რომ წყალს უფრო მეტი გამძლეობა შევმატოთ. თუ ყინული არ გვექნება, ამ შემთხვევაში წყალი მალ-მალ უნდა უცვლიოთ. ასეთ მოწყობილ აუზში ჩავდგამთ რძის ჭურჭელს გასაცივებლად და ცივად შესანახავად. რადგან აუზის საშუალებით გაცივებას ბევრი დრო სჭირდება, ამიტომ ხმარებაშია სახელდახელო რძის საცივებელი მანქანა.

რამდენადაც რძეს მალე გავაცივებთ, იმდენად საუმჯობესოა და ამ რიგად უფრო ხანგრძლივ შეგვიძლიან რძის უვნებლივ შენახვა. გერმანიაში ყინულის მაგივრად ხმარობენ რძის ყინულს, რომელსაც პირდაპირ რძეში ურევენ, რასაც რძის სითბო თითქმის 0°C დაჰყავს და რამდენიმე კვირა არი შენახული. რძე თავის პირვანდელ თვისებებს არა ჰკარგავს.

ზევით დავინახეთ, რომ ყინული უსაჭიროესი მასალაა მერძეობისათვის, ამიტომ მეტად არ მიმაჩნია მისი შენახვის შესახებაც ცოტა რამ გამოვსთქვა.

საუმჯობესოა ყინული მოთავსებული გვექონდეს ცალკე საყინულეში, რომელიც რომელიმე შენობის უკან ჩრდილოეთით უნდა იქნეს მოთავსებული და ამავე შენობის ჩრდილით დაცულ. საყინულე ისე უნდა იყოს მოწყობილი, რომ დამდნარი ყინულის წყალი თავისთავად გადიოდეს გარედ. საყინულეს კარები უნდა დასტანდეს ზევით და არა ქვევით. თუ კარები ქვევით გვექნება დასტანებული ამ შემთხვევაში, როდესაც ყინულს გამოვიღებთ, ცხელი ჰაერი კარების გაღების დროს შეგვეპარება

და რადგან ეს ცივ ჰაერზე სუბუქია, მაშინადვე დაიწყებს ზევით ასვლას, რაითაც შეიძლება ყინული გაგვი-
თბოს და გაგვიდნოს, თუ კარებს ზე-
ვით დავატანთ, ამ შემთხვევაში თავიდან
ავიცდენთ ხსენებულს ხიფათს.

**მერძეობისათვის საჭირო შენობა
და ჭურჭელ-იარაღები**

მერძეობაში უმთავრესად დიდი ყუ-
რადღება უნდა მიექცეს სისუფთავეს.
უსუფთაობა საუკეთესო თვისების რძეს
უკარგავს გემოს. ასეთი რძისაგან გა-
კეთებულს ნაწარმოებს სიმშვენიერეც
და გამძლეობაც ნაკლები ექნება.

უსუფთაობის გამო ვერ შეგვიძლიან
საქმე რიგზე დავაყენოთ, საწადელ მი-
ზანს მივალწიოთ და რძე საუკეთესოთ
გამოვიყენოთ. ამიტომ ყოველი რძის
საქმე ისე უნდა მოეწყოს, რომ სისუ-
ფთავე სასტიკად იყოს დაცული. და-
ვიწყეთ ჯერ რძის შესანახს ალაგსა
და შენობიდან და მის დამუშავებისა-
თვის საჭირო იარაღებიდან. შენობა
ისე უნდა მოეწყოს, რომ არამც თუ
არასოდეს რძეში უსუფთაო ნაწილები
არ შეგვერიოს, არამედ უსუფთაო ჰაე-
რის შესვლაც კი შეუძლებელი იყოს.
მერძეობისათვის შერჩეულ ალაგს და
მის მდებარეობას უნდა დიდი ყურა-
დღება მივაქციოთ.

თუ უკვე აშენებული ალაგი გვაქვს
და გვინდა მერძეობისათვის გამოვიყე-
ნოთ, ამ შენობაში უნდა სუფთა და
მშრალი ჰაერი იყოს. თუ ჩვენ გვინდა
მერძეობისათვის საჭირო შენობა ავა-
გოთ, უნდა ვეცადნეთ ფეხის ალაგი,
საქონლის სასუქი, თავლა და ამგვარი
ალაგები ახლო-მახლო არ იყვნენ, რად-
გან ცუდა სუნის ჰაერგვარნი მანე-
ბელი ბაქტერიებით სავსე მოეფინებიან

და მერძეობას ძალიან ცუდ პირობებში
ჩააყენებენ.


შენობას უნდა დასტანდეს ჰაერისა-
თვის საჭირო ვენტილიცია, თბობის
წყალობითაც შეგვეძლება, გაჭირ-
ების დავგარად, ჰაერის გაწმენდა-გა-
სუფთავება. სიმაღლე შენობისა უნ-
და იყოს არა ნაკლებ 4--6 არშინი.
სახურავი და კედლები, როგორც სი-
ნოტიესაგან, აგრედვე მტვრისაგან სუ-
ფთად უნდა იყვნენ დაცულნი.

ფანჯრები შენობას უნდა დასტანდეს
ჩრდილოეთის მხრივ.

ნოტიო კედლებისაგან ჩნდება ობი,
რის გამოც ჰაერი ჰკარგავს თავის სი-
სალეს დიდ მტვერში მრავლდებიან მავ-
ნებელი ბაქტერიები. სუფთა ჰაერის
დასაცველად საუმჯობესოა წელიწად-
ში ორჯერ მაინც კედლები კირით
შეილესნენ. იატაკი უნდა იყოს ისეთი
მასალისაგან გაკეთებული, რომელიც
სინოტივეს არ უშვებს, თორემ თუ რძის
სინოტიე იატაკში ჩავა ამოღებება და
ამისგან ჰაერში გამრავლებული მანე-
ბელი ბაქტერიები რძეს დაავადმყოფე-
ბენ. ამიტომ ხის ან აგურის იატაკი
ყოვლად გამოუსადეგარნი არიან მე-
რძეობისათვის.

საერთოდ მიღებულია ცემენტის ია-
ტაკი, მაგრამ მალმალ სჭირდება შეკე-
თება. ასფალტიც შეიძლება იატაკად
იხმაროს, მხოლოდ ზაფხულში აცხუ-
ნებს და სუნს აძლევს რძეს.

საუკეთესო სახმარისი, მაგრამ ძვირი
არის თხელი კლდის ქვა, რომლის შუა
ნაწილები დაგებისას ქვასა და ქვას შუა
ცემენტით უნდა ამოილესოს იმ შე-
ნობაში, სადაც მერძეობა სწარმოებს,
შეუძლებელი ხდება ჰაერი სუფთა შე-
ინახოს, თუ ამავე შენობაში სხვადასხვა
ორგანიული ნივთიერებაც იქნება. რძე





და მისგან წარმომდგარი ნაწარმოები თხოულობენ განცალკევებულ ალაგს და შენობას. ჰაერის სისუფთავის გარდა აუცილებელია საჭიროა, რომ მერძეობის შენობაში აგრედვე საკმარისი სინათლე იყოს. ყველა საჭირო მასალა და ქურჭელ-იარაღი ისე უნდა იყოს მოწყობილი, რომ მრეცხავ-გამსუფთავებელის ხელი ადვილად უდგებოდეს ყოველ ნაწილებს.

მერძეობისათვის საჭირო ქურჭელ-იარაღები მზადდება ან ხისაგან ან ლითონისაგან. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ხისგან გაკეთებულ იარაღებს ლითონის იარაღები სჯობია, რადგან ესენი მუდამ მეტს სძლებენ და სისუფთავის მხრივაც ადვილად სახმარისნი არიან.

აქვე უნდა მოვიხსენიოთ, რომ საუმჯობესოა მერძეობისათვის საჭირო იარაღები მუდამ ახლად ადუღებულ წყლით და სოდით ვასუფთავოთ.

სისუფთავის გარდა საჭიროა აგრედვე სხვადასხვა მიზნისათვის სხვადასხვა ტემპერატურა იყოს დაცული. თუ ჩვენი სურვილისამებრ მერძეობაში დავიცავთ საწადელ ტემპერატურას, ამ შემთხვევაში რძეს და მისგან მიღებულ ნაწარმოებს უფრო უკედ გამოვიყენებთ და მეტ სარგებლობასაც ვნახავთ. ზემოხსენებულ პირობების გარდა მერძეობაში მუდამ სამჯობინარია, რომ რძე შეძლებისადაგვარად მალე დავამუშავოთ და თავიდან ავიცილინოთ ყოველი არა-სასურველი მოვლენანი.

რ. გედევანიშვილი.

სასარგებლოა თუ არა შემოდგომით და ზამთარში საქონლის გაშვება საძოვარზე

ბევრჯერ ჩვენ, მესაქონლეებს, გაგვიტაცებს ხოლმე იაფ-ფასიანი საქონლის გამოკვება და ანგარიშს კი არ უწყევთ იმ გარემოებას, თუ რა შედეგი მოაქვს ამ ჩვენს მოქმედებას.

მოგვხსენებთ, რომ ზოგ ადგილას ადრე შემოდგომით იცის თრთვილის დადება, ნამეტნავად მაშინ, როდესაც უავდრო ამინდი დვას. ვინც კი საქონლის მოშენებას და მერძეობას მისდევს, იძულებული ხდება დააბინაოს თავისი საქონელი ბოსლებში თრთვილამდინ, რადგანაც თრთვილი ცუდათ მოქმედობს მწველელ საქონელზე, ნამეტნავად ადრე მოსაგებ ძროხაზე. ყოველი მეურნე ცდილობს განა თუ იმყოფინოს ის საქონლის საკმელი, რომელიც იმას დაუმზადებია ამ ზამთრისთვის, პირიქით უნდა გადაარჩინოს რამე მომავალ წლისთვის.

უკანასკნელ მიზეზის გამო ბევრჯერ მინდვრად მშრალ საქონელთან მწველელსაც გააყოლებენ ხოლმე იმ დროს, როდესაც საძოვარი თრთვილით არის გათეთრებული. ძალიან ცუდათ მოქმედობს ამისთანა საძოვარი მწველელ ძროხაზე: რძე აკლდება და ამასთან რასაც იწველის, ისიც არ არის კარგი თვისებისა. უფრო ცუდათ მოქმედობს მაკე ძროხაზე: ან ბერწყდება, ან არა და მოიგებს თავის დროზე, ხოლო ხბოს ბუფეს ვეღარ დააგდებს და უკანასკნელ შემთხვევაში ძროხა ძალიან ხდება, რძეს იმდენს იწველის, რომ ძლივსლა ჰყოფნის ხბოს, ბუდე შიგ მუცელში უღებება და ნაჭერ-ნაჭერ გამოსდევს შარდს. ზოგჯერ ძროხა ვერ იტანს ამ მდგომარეობას და კვდება. თუ ძროხამ ბუდე ვერ დააგდო, ძალი-

ან კარგია ამ შემთხვევაში ქერის ან სიმინდის ფქვილის თბილი ლუფხის სმევა დღეში ორჯერ (უნდა აიღოთ 2 გირვანქა ფქვილი, გახსნათ თბილ წყალში, პირველად მოუყაროთ ცოტა მარილი და ისე ასვით ძროხას). ამისთანა შემთხვევაში დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლიანთ ზოგიერთ გამოცდილ ბებია ქალებს, რომელნიც ხელით გამოიღებენ ჩოლმე ძროხის ბუდეს. მე დამარწმუნა გამოცდილებამ, რომ სჯობს ისევ ნახევარზე მშვიტი იყვეს საქონელი, ვიდრე თრთვილიან საძოვარზე გაუშვათ. თუ გამოცდილი და გულ შემატყვიარი მეძროხე დასდევს საქონელს, ის ნახევარზე აიცილენს თავიდან ზემოხსენებულ ცუდ

შედევს, რადგანაც ის არ დაჰყრის საქონელს მიწაზე, სიარულში გაატარებინებს შემოდგომის და ზამთრის მოკლე დღეს და წყალს დააღვინებს შინ წამოსხმის დროს, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს საქონლისთვის. ეს ყოველი ზემოხსენებული შევება იმ საქონელს, რომელიც ზამთრობით სიბოზს არის დაჩვეული (10—12⁰R); ხოლო ეგრედწოდებული „მინდვის“ საქონელი უფრო ამტანია ყოველი გაჭირებისა, რადგანაც ის დაჩვეულია ზამთარ-ზაფხულ მინდორში ყოფნას. ამისთანა საქონლის პატრონი არც აგრე რიგად დიდ ყურადღებას აქცევს რძის საკითხს, მაგალითად: შირაქში, ქიზიყში და სხვაგან.

6. მუხიანიძე.

მზეუჭვრიტას მოვლა და გამოყენება.

ქართლში თითქმის სულ არ მისდევენ მზეუჭვრიტის მოყვანას. აქა-იქ სიმინდში თუ გაღურევენ და ისე დასთესენ, თორე მარტო მზეუჭვრიტა მინდორში ნათესი მე არსად მინახავს, თუმცა მეტად სასარგებლოა ამ მცენარის მოყვანა და ძალიან ადვილიცაა. მზეუჭვრიტა არ თხოულობს არც თავისთავად ძლიერ ნოციერ მიწას, არც უსათუოდ გაპატებულს და არც სარწყავს. თუ კი სადმე მიწაში მიიმალა მისი თესლი, უსათუოდ თავს იჩენს. დიდიდან სადამომდის მზისკენ მიაქცევს თავს და მისი მზერიით ტკება და იზდება მინამ მძიმე-მძიმედ თავთავი არ შეუტკნება და არ შემოვა. მზე რომ ღრუბელში იყოს მიმაღული, ის მაინც მზისკენ იყურება, ასე რომ შეგიძლიან საათის მაგიერათ მზეუჭვრიტის თავთავებს შეხედოთ და გაიგოთ, რომელი საათია. ამიტომ ეძახიან მზეუჭვრიტას.

ეს სამი-ოთხი წელიწადია, რაც მზეუჭვრიტის თესვას შევეუდექი. პირველად დავთესე სოფ. თამარაშენში თ. ვასილ მაჩაბლის მამულში დღინახევრის სარწყავ მიწაში აპრილის მეორე ნახევარში. მიწა არც გაპატებული იყო და არც ძალიან დედიანი. თესლი მოვანდომე ოც გირვანქამდინ. მაგრამ ძალიან სქელი მოვიდა და გათოხნის დროს გავათხელგებინე მუშებს, მაგრამ მაინც სისქემ დასჩაგრა და მოსავალი ნაკლებათ მივიღე—ესე სამოცდა ათი ფუთი. არ მომირწყავს, გავთოხნე ერთხელ. მერე ჩემს მამულში სოფ. ქურთაში დავთესე ურწყავ მიწაში ნახევარ დღისა, თესლი მოვანდომე ნახევარ დღისას შვიდი გირვანქა. დავთესე აქაც აპრილის მეორე ნახევარში და რომ გაიზრდა სამი-ოთხი ვერშოკის სიმაღლეზე, გავთოხნე ერთხელ და გავათხელე ესეც—ერთი მეორის სიშო-

რით ერთ არშინზე დავაყენე. მიწა გა-
პატიებული იყო ორი წლის წინათ.
ძალიან სწრაფად გაიზარდა, ქვეშა-
რაფერი მცენარე აღარ ამოუშვა, ბევრმა
ყველა ფოთლის უბიდან ნამხრეები
ამოიღო. მე მისი შეფურჩნა დავიწყე
მთლად გარდა ოთხიოდ ფოთლისა. თავ-
თავს ახლო სულ რაც ფოთლები ჰქო-
ნდა და მეტი თავთავები, ყველა მო-
ვაშორე. დიდი-დიდი ზურგი ფოთ-
ლები გროვდებოდა, რასაც ღორებსა და
საქონელს ვაქმევდი, რომლებიც დიდის
ხალისით შეექცეოდნენ. ჩვენში საძო-
ვარი თითქმის სულ არ არის და მთე-
ლი ზაფხული საქონელი და ღორები
მზეუჭვრითის ფოთლებით გამოვკვებე.
ღორები კარგად გაკეთდნენ მუხიდა-
ვით იმისა, რომ სულ მემწყვდია
ბოსელში.

მარიაშობისთვის გასულს მზეუჭვრი-
ტამ უკვე მთლად დაიყვავილა და ენკე-
ნისთვის ოცისთვის თავები დავჭერი,
ფარდულში მივზიდე, მერე სათითაოდ
თავთავებს პატარა ტაბიკის ოდენა ჯოხი
დავარტყი და ისე დავბერტყე. ცარი-
ელა თავთავს საქონელი ძალიან გემ-
რიელათ შეექცეოდნენ. ძრიელ წვრალ
თავიანი ღეროები და აგრეთვე უთა-
ვონიც, ყველა ერთად მოვჭერ და ეზო-
ში ჩამოფრტანე, სადაც ასზე მეტ
ფრთას შინაურ ფრინველს ვინახამ. ქათ-
მებმა და ინდოურებმა დიდი სიამოვნ-
ებით კენკა დაუწყეს მზეუჭვრითას
თესლსა და თითქმის ორი თვის განმა-
ვლობაში მე მათთვის აღარ მიმიწო-
დებია საკენკი. ღეროები რა გახმა, იმა-
თაც თონეში ფრჩხის მაგიერად ვწვამთ
დღევანდლამდე. ნაცარი მრავალი იცის,
რომელსაც კართოფლის ბუნდებში

ვაყრით და კარგი კართოფილი მოჰყავს;
ღეროების გულსაც ძალიან სწიწკნიან
ქათმები; თვით ღეროებსაც საქონელი
სკამს; თუ რითიმე დავუჩქრევამთ, მაშინ
ხომ უკეთესი.

ამავე წელს მეორე გაუპატიებელ
მიწაში დავთესე. ისიც ურწყავია, ნახე-
ვრობით სიმინდი გავურე, მოსავლის
ბარაქიანობაში დიდ განსხვავებას ვერ
შეატყობთ ამ ნახევარ დღიურ მიწას
გამოვიდა ორმოცი ფუთი, რომელიც
ქ. გორში გავყიდე 1 მ. 60 კ. და 2 მან-
ეთათ ფუთი. მეთესლე კოველსაც მი-
ვყიდე თესლათ არჩეული ობოლა თა-
ვებისა 3 მანეთად ფუთი.

ერთხელ გათხნა, მოკრა და და-
ბეგვა 12 მ. დამიჯდა.

ძალიან ადვილი მოსაყვანია.

ფრიად სასარგებლო იქნება სათესი
მანქანით მწკრივზე დათესვა. ერთ დღის
ანეულს თესლი მოუნდება ათი გირვანქა
ან ისიც არა, და შემდეგ ცხენის სა-
შუალებით გაითოხნება ექსტრპატო-
რით.

რაც ადრე ვაზაფხულზე დათესავთ,
მით უკეთესია. სიცვიისა არ ეშინიან,
არც წვიმით წახდება თესლი. მის ყვა-
ვილს ფუტკარი ძლიერ ეტანება. ჩვენ
ქვეყნის ნიადაგი ფრიად შესაფერია.
უნდა ითესებოდეს მზეუჭვრითა რამდენ-
იმე ჯიშისა: თეთრა წვრილი, რის-
განაც ზეთსა ხდიან; რუხვი ჭრელი,
საღდათების სასიამოვნო შესაქცევი,
და შავი, რომელიც ჩინებული სამდე-
ბროა ამობენ მიწას ძლიერ აღარი-
ბებსო, მაგრამ ჯერ ეგ ვერ შევამჩ-
ნიეთ.

ალ. მაჩაბელი.

ს. ლილოში საცდელად მოწყობილ კვების ანგარიში

ამას წინაშე ს. ლიდ-ლილოში მოწყობილი იყო საცდელი კვება მეწველი ძროხებისა დანიურის წესით. საცდელად დაბმული იყო ექვსი ძროხა. კვება სულ გაგრძელდა სამი კვირა. პირველი კვირის განმავლობაში ძროხები იკვებებოდნენ ისე, როგორც ღღეს მიღებულია სოფლად ზამთრობით,

ესე იგი სკამდნენ თივას და ბზეს. საშუალო რიცხვით თითო ძროხას უნდებოდა ღღეში 30—40 გირვანქა თივა. აქვე მოგვყავს კვების საკონტროლო ფურცლიდან, თვითეულს ძროხას რამდენი ეძლეოდა თივა და რამდენს იწველიდა პირველი კვირის განმავლობაში.

№ ძროხების.	რამდენი ეძლეოდა თივა.	რამდენს დანიურს ერთეულს შეადგენს.	რამდენს იწველიდა თვითეული ძროხა ღღეში.	რამდენი 0/0 ცხიმი იყო რძეში.		შ ე ნ ი შ ვ ნ ა.
				დილით.	საღამ.	
1	გირ. 27	ერთ. 9	გირ. 7	3,7	4,3	დანიური ერთეული უდრის ერთ გირვანქა ნაყიერს საკვებს. ეს საკვები შეზავებულია ასე: 1/3 გირ.—კოპტონი. ერთი ერთეული სინაყიერთი უდრის 3 გირ. თივას — 5 გირ. ბზეს — 1 გირ ქატოს — 5/4 გირ. კოპტონს და სხ.
2	30	10	4	3,8	4,2	
3	40	13 ¹ / ₃	4 ¹ / ₄	3,5	4,1	
4	35	12 ² / ₃	6 ¹ / ₂	4,4	5,8	
5	30	10	5	4,2	4,2	
6	48	13 ¹ / ₃	5	4,6	5,8	

მეორე კვირიდან კვება მოწყობილი იყო დანიურის წესით, ე. ი. თვითეულს ძროხას ეძლეოდა ქატოთი და კოპტონით შეზავებული საკმელი ძროხის ცოცხალი წონის და მონაწველ რძის რაოდენობის მიხედვით. ყოველ სამ ფუთ ცოცხალს წონაზე ეძლეოდა და-

ნიურის წესით ერთი დანიური ერთეული, ხოლო ყოველ სამ გირვანქა მონაწველ რძეზე ემატებოდა კიდევ ერთი ერთეული. ამ გვარად, კვება გაგრძელდა ორი კვირა. თუ რა შედეგი მოჰყვა ასეთს კვებას, სჩანს ქვემოთ მოყვანილი ცხრილიდან.

№.პ. ძროხების.	ძროხის ცოცხალი წონა.	საკვები რაციონი.				რამდენს ერთეულს შეადგენს საკვები.	რამდენს იწველია დღეში.	0/0 0/0 ცხიმის რაოდენობის რძეში.		შენიშვნა.
		თივა.	ბზე.	ქატო.	კობტ.			ლილით.	საღამ.	
1	ფუთი 18	გირ. 12	გირ. 10	გირ. 2 ¹ / ₂	გირ. 11 ¹ / ₂	ერთ. 10 ¹ / ₂	გირ 9	3,6	5,3	რამდენიმე ერთეულით ძროხებს საკვები ზედ-მეტე ეძლეოდათ, რადგანაც ჯანდაცვა იყვნენ.
2	18	12	10	2	2	11 ¹ / ₄	9 ¹ / ₂	3,7	4,9	
3	22	15	10	3	2 ¹ / ₄	13 ¹ / ₂	11	3,6	5,1	
4	20	12	10	2 ³ / ₄	2	11 ¹ / ₂	10	4,0	6,0	
5	17	12	10	3	1 ¹ / ₂	11 ¹ / ₂	9	3,9	6,1	
6	21	15	10	2	2 ¹ / ₄	12	13	3,3	5,0	

ამ ცხრილიდან სჩანს, რომ დანიურის წესით კვების დროს საკვები შემცირებულია. მიუხედავად ამისა ძროხებმა წველა არამც თუ არ იკლებს, პირიქით ერთი-ორად იმატეს. მაგალითად, მეექვსე ძროხამ. რომელიც ჩვეულებრივი კვების დროს იწველიდა მხოლოდ 5 გირვანქას, დანიურის წესით კვების დროს მოიწველა 13 გირვანქა, თითქმის ერთი სამად მეტი. გარდა წველის მომატებისა თვით ძროხებმაც მოიუმჯობესეს, ჯანზე მოვიდნენ, მალე ახურდებიან, ზამთარ-

შივე იმაკებენ და, მაშასადამე, ხბორებს დაიგებენ მომავალს შემოდგომაზე. ეს უკანასკნელი მოვლენა კი მეტად სასურველია იმ ადგილებში, სადაც რძეს გასაველი აქვს, რადგანაც შემოდგომაზე და ზამთარში რძე ერთ-ორად მეტად ფასობს, ვიდრე გაზაფხულზე.

რომ უფრო თვალსაჩინო შეიქმნენ საკვები კვების შედეგი, ვინაგარი-შოთ ფულზე.

საკვები დავაფასოთ ისე, როგორც დღეს ფასობს ტფილისის ბაზარზე:

1 ფუთი	თივა	ღირს 40 კაბ.	მაშასადამე,	1 გირ.	ელირება	1 კაბ.
1 "	ბზე	" 20 "	"	1 "	"	1/2 "
1 "	ქატო	" 80 "	"	1 "	"	2 "
1 "	კობტონი	" 80 "	"	1 "	"	2 "

თუ ასეთს ფასებს მივიღებთ, მაშინ ჩვეულებრივის კვების დროს თვითეული ძროხის გამოკვება საშუალოდ ელი-

რება 30 კაპეიკი. მაგალითად, ავიღოთ იგივე მეექვსე ძროხა. ეს ძროხა პირველ კვირის განმავლობაში დღეში სკა-

მდა 40 გირვანქა თივას, ანუ 40 კაპეის, ხოლო იწველიდა 5 გირვანქა რძეს. თუ ფუთ რძეს 2 მანეთობაზე ვიანგარიშებთ, შეადგენს 25 კაპ.

დანიურის წესით კვების დროს კი იმავე ძროხის საჭმელზე იხარჯებოდა $28\frac{1}{2}$ კაპ. (15 გირ. თივა—15 კაპ.; 10 გირ ბზე—5 კაპ.; 2 გირ. ქატო—4 კაპ.; $2\frac{1}{4}$ გირ. კოპტონი— $4\frac{1}{2}$ კაპ. სულ $28\frac{1}{2}$ კაპ.), მაშასადამე, დანიურის წესით კვება ნაკლები დაჯდა (40 კაპ.— $28\frac{1}{2}$ კაპ.) $11\frac{1}{2}$ კაპეიკით. თუ მივიღებთ სახეში მონაწველ რძეს, აშკარა იქნება რომ ასეთი წესით კვება უფრო სასარგებლოა.

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, მეექვსე ძროხა პირველად იწველიდა 5 გირვანქა რძეს, რაიც ღირს 25 კაპ. ხოლო საცდელ კვების დროს იწველიდა 13 გირვანქას, ანუ 65 კაპ. მიუმატეთ ამ მოგებას ისიც, რაც საკვებს გადაჩა და დღიური მოგება იქნება $76\frac{1}{2}$ კაპ. (65 კ. + $11\frac{1}{2}$ კაპ.), ანუ $51\frac{1}{2}$ კაპეიკით ($76\frac{1}{2}$ კ. — 25 კ.) მეტი დღეში, ვიდრე ჩვეულებრივის წესით რომ ვკვებოთ. აი მოკლედ, შედეგი, რომელიც მოჰყვა საცდელს კვებას სოფ. დიდ-ლილოში.

ა. კახელაძე.

სიცივის ზედმოქმედება ვაზზე და მის ნაყოფზე

შედეგი ამ ზედმოქმედებისა სხვადასხვანაირია მიხედვით იმისა თუ რანაირად აცივდება.

შარშან, მაგალითად, ზამთარში ბევრი ვაზი გახმა ვენახში სიცივისაგან, თუმცა წინადაც ყოფილა არა-ნაკლები ყინვები და ვაზი კი არ გახმებარა.

აიტანს თუ არა ვაზი ყინვას, ეს იმაზეა დამოკიდებული, თუ რამოდენია ყინვა, ერთბაშად აცივდება ან ერთბაშად დათბება ყინვის შემდეგ, თუ თანდათან; მაღლობი ქვიშნარი ნიადაგია, სადაც ვაზი დგა, თუ ჩავარდნილი ნესტიანი თიხნარია.

ჩვენ ვიცით, რომ თუ ყინვამ გადაქარბა ერთბაშად — 8⁰ რეომიურის ტერმომეტრით, ვაზი ძრება დაბლობ ნესტიან ადგილებში, მშრალს მაღლობ ადგილებზე კი ვაზს მეტი სიცივის ატანა შეუძლიან უფრო.

ერთბაშად დამდგარ ყინვას უფრო ადვილად მოსდევს ვაზის დაძრობა, ვინემ თანდათან რომ აცივდეს. იგივე იბქმის, როცა ერთბაშად აიღებს ყინ-

ვას და დათბება, ვინემ თანდათან რომ დათბეს.

სიცივეში გაფიჩხებული ცხოველი რომ შევიტანოთ პირდაპირ დიდ სითბოში, ცხოველი არ გაცოცხლდება, არამედ სამუდამოდ გამოესალმება ქვეყანას. თანდათან რომ შევათბოთ კი, ჯერ გარედ თოვლით რომ გაფხებოთ ან ცივ წყალში რომ ჩავსვათ და ნელ-ნელა შევათბოთ, მაშინ სიცოცხლე ისევ დაუბრუნდება ცხოველს, ისევ მოიხედავს და ადგება. იგივე ხდება მცენარეშიაც. ყინვა გამოვლილი, მაგალითად გზაში, ნერგი ხეხილისა უნდა ჯერ ცივ წყალში დავამყოფოთ და მხოლოდ მერე შევიტანოთ თბილ სადგურში.

თუ ვენახი სამხრეთს ან აღმოსავლეთს უყურებს, უფრო მალე შეიძლება დაძრეს ვაზი, ვიდრე ჩრდილოეთს ან დასავლეთს რომ უყურებდეს.

ყველა ეს მოვლენა აიხსნება იმით, რომ საღი მცენარის სხეული თითონ

ამზადებს თავის თავს ყინვის ატანა-
დაც და გაზაფხულის სითბოს დასახვე-
დრადაც.

მცენარის სხეული შესდგება უთვა-
ლავი რიცხვი უჯრედებისაგან. როცა
ჯერ თბილა და მცენარე ფოთლითაა
შემოსილი, მის უჯრედებში წყალია
ბლომად, იმდენი უფრო ბლომად რამ-
დენიც ადგილი დაბლობია და ნესტიან-
ი. მშრალსა და მაღლობ ადგილზე
მყოფ მცენარის უჯრედებში კი შედა-
რებით წყალი ცოტაა.

როდესაც მცენარეს ვასცვივა ფო-
თოლი და თანდათან ცივდება ჰაერი,
ტემპერატურა უახლოვდება 0⁰, მცე-
ნარის უჯრედში კლებულობს წყალი,
გამოდის იგი უჯრედის გარედ და იჭერს
უჯრედებს შორის დარჩენილს ადგილს.
როდესაც სიცივეს თანდათან აიღებს,
ეს წყალი ისევ შედის უჯრედში და
იწყობა წვეთის მუშაობა მცენარეში

თუ უეცრად აცივდა, წყალი იყი-
ნება უჯრედში და რადგან ყინული
მეტ ადგილს თხოულობს მოთავსდეს,
ვიდრე წყალი, უჯრედი სქდება, სი-
ცოცხლე ესპობა და მცენარეც ხმება-
კვდება. რო დასცალეობდათ უჯრედებს
გამოერეკათ გარედ წყალი, ყინული
წარმოსდგებოდა უჯრედებს შორის და
უჯრედებს მისწევ-მოსწევდა შესქუ-
ნავდა, ხოლო კი არ დხავთქავდა და
ამიტომ არც მცენარე გახმებოდა.

აგრედვე ხდება ყინვის აღების დრო-
საც.

თუ ერთბაშად აიღო ყინვა და
დათბა, საკმაო წყალი ვერ მოასწრობს

გარედან შესვლას უჯრედში და უჯრე-
დი სითბოს სხივების ზედგავლენით
გამოშრება-გახმება და მცენარეც მო-
კვდება.

ერთბაშად აციებაც და დათბობაც
უფრო იმ ადგილებზე იცის, რომელიც
სამხრეთისაკენ ან აღმოსავლეთისაკენ
არის მიქცეული.

შედევნი სიცივის ზედმაქმედებისა
ნაყოფზე სხვაა.

ჩვენ ყველამ ვიცით, რომ მზიანი
დღე და ცივი ღამე შემოდგომაზე მა-
ლე ამწიფებს ყურძენს. თრთვილი რო
დაჰკრავს ყურძენს, ყურძენი უუტკბე-
სი ხდება და თუ კიდევ დიდხანს დავ-
ტოვეთ ვაზზედ, ზედ დაჩამიჩდება, ე.
ი. წყალი მთლად გამოეცლება თითქ-
მის და ცარიელი სიტკბო-და რჩება.
ბევრი სხვა ხელიც ასევე როგორც
ყურძენი თრთვილ ნაყრაფი უფრო
ტკბილია და გემრიელია. სიცივემ თუ
მოასწრო ნაყოფს, სანამ იგი დამწიფე-
ბაში შევა, მაშინ, რასაკვირველია,
დამწიფება ფერხდება, ნაყოფი მყაფე
რჩება. ხოლო მწიფე ნაყოფში კი ცი-
ვი ღამე გარედ ერეკება ნაყოფის
წყალს, რომელიც დილით ნაყოფის ზე-
დაპირზეა ხოლმე შეთრთვილული და
მზე რო ამოვა, ღხვება და ორთქლობს,
რის გამო ნაყოფი ჰკარგავს ზედმეტ
წყალს და ტკბილდება-გემრიელდება.

შემჩნეულია რომ სუსხიან ზამთარ-
ში გაუსხვლელი ვაზი უფრო კარგად
იტანს სიცივეს, იშვიათად ძრება, ვი-
დრე გასხლული.

გ. ახოშვილი.

სანიმუშო წესდება

წერილი სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობის

§ 29. საზოგადო კრება, თანახმად
ამ წესდებისა, სწყვეტს ყველა საქმეს,

რომელიც საზოგადოებას ეხება, მაგ-
რამ არის საქმეები, რომლებსაც უსა-

თუოდ საზოგადო კრება უნდა განაგებდეს; აი ეს საქმეები: დადგენილებანი ოპერაციების რაოდენობისა და საოპერაციო საგნების შესახებ, საზოგადოებისათვის უძრავ ქონების შეძენის შესახებ, ასეთ უძრავ ქონების გაყიდვისა, იჯარით გაცემისა და დაგირავების შესახებ, აგრედვე საქმის გაფართოების შესახებ. საზოგადო კრებას ევალება, საქმის გაფართოების ან უძრავ ქონების შეძენის დროს, გადასწყვიტოს წესი იმისა, თუ როგორ უნდა დაიფაროს ამაზე გაწეული ხარჯი. საზოგადო კრებისავე საქმეა გადასწყვიტოს ყველა ის საქმე და საკითხი, რომელსაც წარადგენენ გამგეობა, სარევიზიო კომისია, საზოგადოების ცალკე წევრები, გუბერნატორი და შინაგან საქმეთა სამინისტრო.

§ 30. გამგეობამ წინდაწინვე უნდა აცნობოს წევრებს, სად და როდის მოხდება კრება და აგრედვე ისიც, რა საგნები უნდა განიხილოს მან. ყოველივე ეს გამგეობამვე წინდაწინვე უნდა აცნობოს ადგილობრივ პოლიციის უფროსს და გამოაკრას განცხადებანი საზოგადოების დაწესებულებებში.

შენიშვნა. საზოგადო კრებაზე შეიძლება განხილულ იქმნას ის საგნები, რომელიც მოსაწვევ ბარათებშია აღნიშნული და რომლის შესახებაც ეცნობა ადგილობრივ პოლიციის უფროსს. კრებას შეუძლიან განიხილოს მართა ის საქმეები, რომელსაც კავშირი აქვს წესდებით განსაზღვრულ საზოგადოების მოქმედებასთან.


§ 31. საზოგადო კრების კანონიერებისთვის საჭიროა დაესწრას არანაკლებ კაცისა იმ წევრებიდან, რომლებიც სცხოვრობენ იქ, სადაც საზოგადოების გამგეობა იმყოფება, ხოლო გადასაწყვეტად საკითხე-

ბისა: წევრების გამორიცხვის, საქმის გაფართოების, საწარმოო თანხის გადაღების ან დაკლების, წესდების შეცვლის ან დამატების და საქმეთა ლიკვიდაციის შესახებ საჭიროა დასწრება წევრისა. საქმეები კრებაზე უნდა გადასწყდეს დამსწრეთა ხმის უმრავლესობით. ხხოლოდ ამ პარაგრაფში აღნიშნული საკითხები უნდა გადასწყდეს კრებაზე დამსწრე წევრთა ორი მესამედი ხმის უმრავლესობით, თუ საკითხების გადაწყვეტის დროს (არა კენჭის ყრით) ხმები გაიყო თანასწორად. მიიღება ის აზრი, რომელსაც მიემხრობა თავმჯდომარე.

შენიშვნა 1. ყოველგვარი არჩევანი საზოგადო კრებაზე (§§ 36 და 53), აგრედვე გამორიცხვა, მე-21 პარაგრაფის ძალით, ვსიმე წევრობიდან, ხდება დახურულის კენჭის ყრით. ყველა სხვა საკითხებზე ხმის მიცემის წესი თვით საზოგადო კრებამ უნდა გადასწყვიტოს.

შენიშვნა 2. თუ საზოგადო კრებამ მოიწონა (ისე კი, რომ დაიცვას ამ პარაგრაფში აღნიშნული პირობები) წინადადებანი ამ წესდების შეცვლის ან დამატების შესახებ, ცვლილებანი ენდა მოსაზრებათა განმარტებით დასამტკიცებლად წარედგინოს მთავრობას, როგორც წესი და რიგია.

§ 32. თუ კრებაზე არ გამოცხადდა კანონიერი რიცხვი წევრებისა (§ 31), მაშინ არა უგვიანეს ერთი კვირისა მეორედ უნდა იქმნენ წევრები მოწვეული კრებაზე. ეს მეორე კრება, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს, კანონიერი იქნება და მის მიერ გადაწყვეტილი საქმეებიც—საბოლოო. ეს გადაწყვეტილება გამგეობამ წინდაწინვე მოსაწვევ ბარათებში უნდა აუწყოს წევრებს. ამ მეორე კრებაზე განიხილება ის საკითხები, რომელიც პირველს უნდა გა-



ნეხილა, მაგრამ დარჩა. ამასთან ზემო პარაგრაფში განსაკუთრებით აღნიშნული საკითხები უნდა გადასწყდეს დამსწრე წევრთა ორი მესამედის ხმის უმრავლესობით, ხოლო დანარჩენი საკითხები—უბრალო ხმის უმეტესობით. გადაწყვეტილება, მიღებული საზოგადო კრების მიერ, სავალდებულოა ყველა წევრისათვის, როგორც დამსწრეთათვის, აგრედვე არა დამსწრეთათვისაც.

§ 33. იმ საქმეებში, რომელნიც საზოგადო კრებას უნდა წარედგინოს განსახილველად, უსათუოდ გამგეობის ხელში უნდა გაიაროს, ამიტომ იმ წევრებში, რომელთაც სურვილი აქვთ წარუდგინონ რაიმე წინადადება საზოგადო კრებას, უნდა წერილობით მიმართონ და თანაც წარუდგინონ გამგეობას თავიანთი წინადადება არა უგვიანეს შვიდი დღისა საზოგადო კრებამდე. თუ განცხადება წარადგინა საზოგადოების წევრთა საერთო რიცხვის მეათედმა, გამგეობა ვალდებულია ეს წინადადება წარუდგინოს შემდეგ საზოგადო კრებას თავის აზრითურთ.

§ 34. საზოგადო კრებაზე საქმეების წესიერად მსვლელობისათვის, წევრნი ურთიერთშორის ირჩევენ თავმჯდომარეს, ხოლო ოქმის შესადგენად—მდივანს. თავმჯდომარის არჩევამდე საზოგადო კრებაზე მის ადგილს იჭერს გამგეობის თავმჯდომარე.

§ 35. საზოგადო კრების დადგენილებანი ოქმებში იწერება, მერე იკითხება სხდომის გათავებისას და ხელს აწერენ კრების თავმჯდომარე, მდივანი, კრებაზე მყოფნი გამგეობის წევრნი და დამსწრე წევრებიდან სამი კაცი მაინც.

საზოგადოების გამგეობა, მისი უფლებანი და მოვალეობანი

§ 36. საზოგადოების საქმეების პირდაპირი გამგე არის გამგეობა, რომელიც იმყოფება (ამა და ამ ადგილას) და შესდგება არა ნაკლებ (ამდენი და ამდენი) წევრისა, რომელთაც ირჩევს საზოგადო კრება თავის წრიდან სამის წლის ვადით.

შენიშვნა 1. გამგეობის წევრად აირჩევა ის, ვისაც სულ ცოტა, ერთი პაი მაინცა აქვს.

შენიშვნა 2. საზოგადო კრებამ უნდა გადასწყვიტოს, რამდენი წევრი იქმნება გამგეობაში. ეს დამოკიდებულია საზოგადოების სავაჭრო-სამრეწველო ოპერაციების სიდიდეზე. ყველა ცალკე ნაწილის გამგედ შეიძლება არჩეულ იქმნას გამგეობის განსაკუთრებული წევრი.

შენიშვნა 3. გამგეობის წევრად არ აირჩევიან საზოგადოების ის წევრნი, რომელნიც საქონელს აწვდიან საზოგადოებას ან აწარმოებენ იმავე ოპერაციებს, რომლებსაც საზოგადოება აწარმოებს. აგრედვე ისინი, რომლებიც საზოგადოების ნაქრებად არიან.

§ 37. გამგეობის რომელიმე წევრის თანამდებობის ასასრულებლად, როდესაც იგი დიდი ხნით სხვაგანა ან ავად არის, აგრედვე თუ გარდაიცვალა, ან ვადამდე სამსახურს თავი გაანება, საზოგადო კრება ირჩევს კანდიდატებს ისევე, როგორც წევრს. კანდიდატი გამგეობის წევრის თანამდებობის ასრულების დროს სარგებლობს წევრის უფლებებით.

§ 38. გამგეობის წევრთა და კანდიდატთა არჩევის ერთი წლის შემდეგ, გამგეობის წევრნი ჯერ-ჯერით ანებებენ თავს თანამდებობას ჯერ კენჭის

ყრით, შემდეგ — არჩევის რიგზე. მათ მაგიერ ირჩევიან ახალი წევრნი და კანდიდატნი.

შენიშვნა: გამგეობის წევრი და კანდიდატი, ვადის შემდეგ, შეიძლება ხელახლად იქმნენ არჩეულნი, თუ თანხმობას განაცხადებენ.

§ 39. კანდიდატი, რომელიც გამგეობის წევრის ადგილს დაიჭერს, რჩება იმ დრომდე, რა დრომდეც წევრი იყო არჩეული, ხოლო იმაზე მეტს ხანს კი ვერ დარჩება, რა ხნითაც თითონ კანდიდატია არჩეული.

§ 40. გამგეობის წევრნი ყოველ წლივ, საზოგადო კრების შემდეგ, თავიანთ წრიდგან ირჩევენ თავჯდომარეს და მის მოადგილეს, აგრეთვე ხაზინადარს და მდივანს.

შენიშვნა: შეიძლება ხაზინადარად და მდივანად ერთი კაცი იქმნას არჩეული.

§ 41. გამგეობას, საზოგადო კრების დადგენილებით, შრომისათვის ეძლევა ან გადაწყვეტილი ჯამაგირი ან საზოგადოების მოგებიდგან რაოდენიმე პროცენტი.

§ 42. გამგეობა განაგებს საზოგადოების ყველა საქმეებსა და თანხებს. გამგეობის მოვალეობაა: ა) მიღება, გაცემა, შენახვა თანხებისა და სარგებლიან ქალაქდებისა იმ წესით, რა წესებსაც საზოგადოება შეიმუშავებს; ბ) საანგარიშო საქმეების მოწყობა, აგრედვე შედგენა, § 51—53-ის ძალით, წლიურ ანგარიშისა, ბალანსის, ხარჯ-აღრიცხვის და მოქმედების ვეგმისა; გ) დანიშვნა საზოგადოების სამსახურში საჭირო კაცებისა, მათთვის ჯამაგირის დანიშვნა და საქმის მიჩეგება, აგრედვე მათი დათხოვნა;

დ) ყიდვა, გაყიდვა, შენახვა სხვადასხვა საზოგადოებისა და ოჯახში საჭირო ნივთებისა და მათ ავკარგიანობაზე თვალყურის დაჭერა; ე) გამორკვევა დამზადებულ საქონლის ღირსებისა და გადაწყვეტა იმისა, თუ როგორ შეიძინოს ეს საქონელი (ნაღდ ფულზე, თუ ნისიად); ვ) საზოგადოების სავაჭრო საქმეთა ორგანიზაცია და მართვა-გამგეობა; ზ) გამოძებნა საშუალებათა საზოგადოებისა და ოჯახში საჭირო ნივთების გასაიაფებლად; ს) დაგირავება საწყობებისა, ბინებისა და სხვა სადგომებისა, რაც საჭიროა საზოგადოების ოპერაციებისათვის; თ) საზოგადოების ქონების დაზღვევა; ი) გაცემა და მიღება გასასტუმრებლათ ვექსილებისა და სხვა ვადით აღებულ ვალდებულებათა იმ ფარგალში, რა ფარგალსაც საზოგადო კრება გადასწყვეტს; ია) დადება საზოგადოების სახელით ხელ-შეკრულებისა და პირობებისა საზოგადოებისათვის საქონლის მოწოდების შესახებ; იბ) რწმუნების ქალაქდების მიცემა იმათთვის, ვისაც გამგეობა საზოგადოების სამსახურში დანიშნავს; ასეთი ქალაქდები უნდა მიეცეთ იმათაც კი, ვისაც საზოგადო კრება აირჩევს სამსახურში; იგ) კანონიერ აქტების შესრულება უძრავ ქონების შეძენისა და გაყიდვის შესახებ; იდ) მიღება საზოგადოებაში ახალ წევრებისა და იე) მოწვევა საზოგადოების წევრთა საზოგადო კრებისა და, საერთოდ, მართვა-გამგეობა საზოგადოების ყველა საქმეებისა იმ საზღვრებში, რომელსაც საზოგადო კრება დააწესებს. გამგეობის მოქმედების წესი, უფლებანი და მოვალეობანი ხსენებულს ფარგალში უნდა განისაზღვროს ინსტრუქციით, რომელსაც ადგენს და

სცვლის საზოგადოების წევრთა საზოგადო კრება.

§ 43. გამგეობა ხარჯს ეწევა ხარჯთაღრიცხვის მიხედვით, რომელსაც ამტკიცებს საზოგადო კრება. კრებას შეუძლიან დაადგინოს, რა თანხის დახარჯვა შეუძლიან გამგეობას ხარჯთაღრიცხვის გარეშე იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე მოითხოვს. ყოველ ასეთ ხარჯის შესახებ გამგეობამ უნდა აუწყოს მახლობელ საზოგადო კრებას.

§ 44. გამგეობამ გსნსაკუთრებით უნდა იზრუნოს იმაზე, რომ საზოგადოების საწარმოო თანხა უმოქმედოთ არ დარჩეს. ამისათვის გამგეობის წევრნი, თვალყურს ადევნებენ რა ვაჭრობას, ადგენენ შენიშვნებს, თუ რა მოთხოვნილება იმ საქონელზე, რომელიც არ მოიპოვება საზოგადოების საწყობში, და თავისუფალი ფულით დაუყონებლივ ყიდულობენ ამ საქონელს, თუ საქონლის ყიდვა, გარემოების მიხედვით, საჭიროდ და სასაგებლოდ არ იქნა ცნობილი, მაშინ თავისუფალი ფული უნდა აქციონ სარგებლიან ქაღალდებთან ან მიმდინარე ანგარიშში შეიტანონ ერთ-ერთ ადგილობრივ (როგორც წინააღმდეგ საზოგადო კრება გადასწყვეტს) საკრედიტო დაწესებულებაში.

§ 45. საქონელი საზოგადოების სავაჭროებში უნდა იყიდებოდეს შეუვაკრებლად ყველასათვის ერთ ფასად, რასაც თვალყურს უნდა ადევნებდეს გამგეობა. განსაზღვრულ ფასებში საქონლის გასასყიდად გამგეობამ უნდა აღწესდეს ფასები და გამოჰკიდოს საზოგადოების დაწესებულებათა თვალსაჩინო ადგილზე. პრესკურანტზე ხელი

უნდა ეწეროს გამგეობის წევრებს. თუ საქონელი მრავალია და ერთ პრესკურანტში მოთავსება მოუხერხებელია, მაშინ ფასები თვით საქონელს უნდა დაეწეროს.

§ 46. მიწერ-მოწერა საზოგადოების საქმეების შესახებ ხდება გამგეობის სახელით, ხელს აწერს თავჯდომარე ან გამგეობის ერთ-ერთი წევრი.

§ 47. ვექსილებს, რწმუნების ქაღალდებს, ხელ-შეკრულებს, პირობებს, ნასყიდობის ქაღალდებს და სხვა საბუთებს, აგრედევე საზოგადოების ფულის უკან მიღების ქაღალდებს (საკრედიტო დაწესებულებებიდან) ხელი უნდა მოაწეროს უსათუოდ გამგეობის წევრთა ნახევარმა მაინც

§ 48. გამგეობა იკრიბება საჭიროებასამებრ, მაგრამ თვეში ერთხელ მაინც უსათუოდ უნდა შეიკრიბოს. სხდომების დღეს გამგეობა ურთიერთ შეთანხმებით დანიშნავს, რაც უნდა ეუწყოს საზოგადოების წევრებს. გამგეობის სხდომებს შეუძლიან დაესწრნენ, საზოგადო კრების ნებართვით, საზოგადოების წევრნიც, მაგრამ ამ უკანასკნელთ გადაწყვეტი ხმა არ ექნებათ. გამგეობის გადაწყვეტილების კანონიერებისათვის საჭიროა დასწრება გამგეობის წევრთა უმრავლესობისა. გამგეობის სხდომების შესახებ იწერება ოქმები, რომელსაც ხელს აწერს ყველა დამსწრე წევრი.

§ 49. გამგეობის დადგენილებანი სწყდება ხმის უმრავლესობით, ხოლო თუ ასეთი უმრავლესობა არ არის, სადაო საკითხი უნდა გადაეცეს გადასაწყვეტად საზოგადო კრებას. საზოგადო კრებასავე უნდა გადაეცეს ყველა ის

საკითხები, რის გამოც გამგეობა ან სარევიზიო კომისია საჭიროდ სცნობს საზოგადოების წევრთა დასტურს, აგრედვე ის საკითხები, რომელთა გადაწყვეტაც, წესდების ან საზოგადო კრების მიერ დამტკიცებულ ინსტრუქციის ძალით, გამგეობას არ შეუძლიან.

შენიშვნა: თუ რომელიმე წევრი არ დაეთანხმება გამგეობის გადაწყვეტილებას და მოითხოვს ამის, ოქმში შეტანა იგი ამ გადაწყვეტილების გამო პასუხის-მგებელი აღარ იქნება.

§ 50. გამგეობის წევრნი თავიანთ მოვალეობას ასრულებენ საზოგადო

კანონების და ამ წესდებაში აღნიშნულ დადგენილებათა თანახმად. თუ წევრებმა მოახდინეს კანონის საწინააღმდეგო რაიმე განკარგულება, ან დაარღვიეს ეს წესდება, საზოგადო კრების დადგენილებანი, ან კიდევ შემჩნეულ იქმნენ უმოკმედობაში, პასუხის მგებელნი იქნებიან საზოგადო კანონების თანახმად.

შენიშვნა: საზოგადოების წევრთა საზოგადო კრების დადგენილებით, გამგეობის წევრი შეიძლება გადაყენებულ იქნას სამსახურის ვადამდე.

(დასასრული იქნება)

სამეურნეო მანქანა-იარაღები

წიწილების გამოსაჩეკი მანქანა (ინკუბატორი).

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი მეურნე კიდევ ძველებური წესით მისდევს ფრინველთა მოშენებას, ტეხნიკის განვითარება მასაც აიძულებს საამდროვო იარაღებს მიჰყოს ხელი. როგორც გაზეთებიდან უწყით, ფრინველთა გამოფენაზე ტფილისში მიმდინარე წელს აჩვენებდნენ ამგვარ ფეჩებს, რაიცა ნებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ მათი საჭიროება უკვე ცოტათი მაინც არის შეგნებული.


ჩვენ აქ ვრცლათ ვერ შევეხებით თუ რა მნიშვნელობა აქვს ინკუბატორს, რადგან ეს სპეციალურ გამოკვლევის საგანს შეადგენს.

ამით ვაუწყებთ ჩვენებურ შინაურ ფრინველთა მომშენებელთ, რომ ქართული სამეურნეო საზოგადოების და „**მოსავლის**“ რედაქციის ლონდონის აგენტურამ მიიღო წარმომადგენლობა მთელი საქართველოსა და საერთოთ

კავკასიისათვის უდიდესი ინგლისის ინკუბატორების ქარხნისა Gamlin.

აგენტურას შეუძლიან მიაწოდოს ჩვენს მეურნეთ ხელსაყრელ ფასებში შემდეგი საუკეთესო ღირსების მანქანები და იარაღები.

ინკუბატორები: — 30 ქათმის კვერცხის გასაშრობი ყუთით და ავტომატიური ლამფით.



ბათუმში ჩამოტანით ღირს 35 მან. 75 კაპ., ბაყი დაახლოებით 3 მ. 25 კაპ.


60 ქათმის კვერცხის გასაშრობი ყუთით და ავტომატიური ლამფით ღირს ბათუმში ჩამოტანით 39 მ. 75 კ. შე- მოსატანი ბაყი დაახლოებით 4 მ. 50 კ.

100 ქათმის კვერცხის გასაშრობი ყუთით და ავტომატიური ლამფით ღირს ბათომში ჩამოტანით 45 მან. 25 კ., შემოსატანი ბაჟი დაახლოებით 4 მ. 95 კ.

200 ქათმის კვერცხის გასაშრობი ყუთით და ავტომატიური ლამფით ღირს ბათომში ჩამოტანით 78 მ 50 კ., შემოსატანი ბაჟი დაახლოებით 5 მან. 55 კაპ.

ბაჟი ყოველგან ცალკეა ნაანგარიშევი და გადახდება მყიდველს ბათომში საქონლის მიღების დროს.

ოთხივე ჩამოთვლილი მანქანა შიგნიდან სპილენძით არის შემოვლებული.



გარედან პატარა ტერმომეტრი აქვთ სითბოს გასაზომათ.

მეოთხე ინკუბატორს ორი ყუთი აქვს. ზემოდამ, სადაც თანჯარაა ღია, არის ეგრედ წოდებული გასაშრობი ყუთი, რომელშიაც ახლად გამოჩეკილი წიწილები უნდა ჩასხან, რომ არ გაცივდნენ.


ავტომატიურა ლამფა შეერთებულია თუნუქის სანავთესთან, რომელშიაც სამი კვირის სამყოფი ნავთია ჩასხმული

და ამ ხნის განმავლობაში განუწყვეტლივ უკიდია ლამფას.

ჩვეულებრივ ლამფას კი ყოველ დღე სჭირდება ნავთის ჩასხმა, რაიც სითბოს ერთ დონეზე ვერ დააყენებს.

კვერცხების გასასინჯი სანათი.

საქართველოდან და საერთოდ კავკასიიდან ყოველწლივ დიდ ძალი ქათმის კვერცხი გააქვთ საზღვარგარედ. გაზიდული კვერცხი სხვადასხვა ხარისხებით ირჩევა სანათის საშუალებით. ჩვენი მეურნენი გაცილებით უფრო მეტს ფასში გაჰყიდიან კვერცხებს, თუ თითონვე იკისრებენ ხარისხებათ გადაჩვევას. ამისათვის კი საჭიროა დააბნელოთ ოთახი და ქვემოდ ნაჩვენები სანათით თითოეული კვერცხი გაშინჯოთ. სინათლეზე დაინახავთ სალია კვერცხი თუ ლაყე. სანათთან მჯდომს



ორივე გვერდით უნდა კალათა ედვას რომ კარგი და უვარგისი კვერცხები ცალკ-ცალკე ჩააწყოს. ერთ მომუშავეს ასეთ სანათზე შეუძლიან გასინჯოს რამოდენიმე ათასი კვერცხი.

თითო სანათი ბათომში ჩამოტანით და ბაჟის გადახდით ღირს 1 მ. 60 კ. აგენტურა მზად არის ფოშტით გაუგზავნოს მსურველთ თითო სანათი 2 მანეთათ ბაჟის გადახდით.



ქათმების, ინდოურების, იხვების და ბატების სასუქი მანქანა.

ახლანდელ დროში დიდი მოთხოვნილებაა შინაურ ფრინველებზე დიდ ქალაქებში. საკლავი ფრინველი გასუქებული უნდა იყოს. რომ ეს გასუქების პროცესი დააჩქარონ, ამისათვის ევროპაში ამჟამად ყველგან ხმარობენ ქათმის გასასუქებელ მანქანას, რომლის სურათიც მოგვყავს აქ. ასეთი კმევა არა-სასიამოვნო გრძნობას უნდა იწვევდეს ფრინველებში, მაგრამ მიუხედავად ამისა 10 დღის განმავლობაში ფრინველი სუქდება ძლიერ. ამ ჟამად, მაგალითად, ლონდონში 12-მდე სასტუმროა, სადაც 600 ქათამი იკვლება ყოველდღე თითო მათგანში. ეს ქათმები მოდის საფრანგეთიდან, სადაც მათ მანქანებით ასუქებენ.

ასეთი მანქანები ძლიერ ბევრი გააქვთ ეხლა რუსეთშიაც: პეტერბურგში, მოსკოვში, ხარკოვში, კიევში, როსტოვში, ოდესაში, ვარშავაში და სხვა.

ჩვენში ასეთ მანქანას ჯერ—ჯერობით დიდი მნიშვნელობა არ ექნება, მაგრამ მოგვყავს როგორც ახალი რამ.

სამფება მანქანა მოწყობილია ერთ ბორბალზე, რომ ერთი ადგილიდან მეორეზე შეიძლებოდაც გადატან-გადმოტანა.

საკვებავი უნდა იყოს მოხარშული და წვნიად ქცეული. ჩასხმულია თუნუ-



ქაში, რომელსაც რეზინის მილი აქვს გაკეთებული. ეს მილი, უნდა წამოეცვას ფრინველს ნისკარტზე და შემდეგ უნდა ფეხით აამუშავოთ მანქანა და წვენი ნელ ნელა ჩაესხმება.

ბათუმში ჩამოტანით მანქანა დაჯდება 29 მანეთი თითო.

დაკვეთა მსურველთ შეუძლიანთ ტფილისში ქართულ სამეურნეო საზოგადოებაში და „მოსავლის“ რედაქციაში. იქავე გადაიხდიან ფულს საქონლის ჩაბარების შემდეგ.

გამოწერა და შეკითხვების გამოგზავნა შეიძლება პირდაპირაც: 61, MARK LANE, LONDON, E. C. SCHENKER, GHAMBASHIDZE & Co. აგენტურა მზად არის მსურველთ გაუგზავნოს დარიგება ინკუბატორების სახმარებლათ.

ლონდონის აგენტურა.

სიღნაღის მაზრის სოფლების მიმართ

რედაქცია ჟურნალ „მოსავლი-სა“ სთხოვს სიღნაღის მაზრის სოფლებს: ანაგას, არბოშიკს, ასანურს, ბოდბეს, ბოდბისხევს, ქვ.მაჩხაანს, ზემო მაჩხაანს, მაშნაარს, საქობოს, ხირსას, მირზაანს და ჯუგაანს

მოაწოდონ რედაქციას ამ წლის ღირებული ფასი ჟურნალისა, რომელიც უკლებლივ ეგზავნებოდათ მათ.

რედაქცია ფიქრობს, რომ ჟურნალმა თავის მკითხველებს ამ წლის განმავლობაშიაც მეტი მისცა გაცილებით,

ვიდრე წლიური შემოსატანი იყო, და ამიტომ სრულის უფლებით მოელის საზღაურს ზემოხსენებულ სოფლებიდანაც, თუ კი ეს სოფლები სწყალობენ

საზოგადოდ სოფლის მეურნეობას და მის წარმატებისთვის სწავლა-დარიგებას რათმე აფასებენ.

„მოსავალის“ რედაქცია.

სამეურნეო უზრნალი

წელიწადი მეხუთე **„მოსავალი“** წელიწადი მეხუთე

მიიღება ხელის-მოწერა 1913 წლისათვის

უზრნალი ღირს ფელიწადში ვ მან.

მისამართი: Тифлисъ, Барятинская, № 5.

სადგური სადასლო

მარჩამ მიხეილის ასული გოგობერძის

სანმრბეღან

მსყრველით შეუძლიანთ დაკვეთა ამერიკულ ვაზზე (რუბესტრის დულო) ნახარები ნამყენებისა: რქა-წითელი, საფერავი და მწვანე (კახური ჯიშები)

ათასი კარგად ნახარები ნამყენი ღირს 60 მ.

მისამართი: Тифлисъ, Слѣпцовская, № 3. Марія Михайловна Гогоберидзе.

რედაქ.-გამომცემელი ვ. ი. რცხილაძე